ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №614037

ნომერი: AR1117113

თარიღი : 18.03.2013

გაცემის თარიღი : 05.04.2013

გაცნობის თარიღი : 11.04.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კარალეთის ქუჩა N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შორენა ცქიფურიშვილი პ/ნ 53001014821
- თბილისი თემქა XI მ/რ III კვ. კორ. 57 ბ. 4

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2013 წლის 18 მარტს AR1117113განცხადებით ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე შორენა ცქიფურიშვილმა დამოითხოვა ქ. თბილისში, კარალეთის ქ. #5–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.13.03.051.013 მრავალფუნქციური კომპლექსის (ბაზრობა და სავაჭრო ცენტრი) განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.
იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მნიშვნელოვან საკვანძო ადგილს, საკითხი აღნიშნული ტერიტორიის სამშენებლო განვითარების მიზანშეწონილობაზე განიხილა „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის“ სხდომამ, რომელზედაც მიღებული იქნა უარყოფითი დასკვნა. ზემოაღნიშნული კომისიის 2013 წლის 27 მარტის სხდომის ოქმი #12-ის რეკომენდაციის და სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

# ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე შორენა ცქიფურიშვილს ქ. თბილისში, კარალეთის ქ. #5–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.13.03.051.013 მრავალფუნქციური კომპლექსის (ბაზრობა და სავაჭრო ცენტრი) განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებაზე.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.